



ქსელური მონაცემთა ბაზის შექმნა

ორის ბულალტერიაში შესაძლებელია ქსელური მონაცემთა ბაზის შექმნა. სისტემა გაუშვით ადმინისტრატორის უფლებით (იხ. დოკუმენტაცია სისტემის ადმინისტრატორის უფლებით გაშვება). **ფაილი/შევქმნათ ახალი მონაცემთა ბაზა/ ქსელური:**



იხილავთ ეკრანს:



ველში „SQL სერვერი“ მიუთითეთ SQL სერვერის დასახელება .თუ SQL სერვერი არ გაქვთ დაყენებული მაშინ, SQL სერვერის დასაყენებლად დააჭირეთ ღილაკს



ველში „მონაცემთა ბაზის სახელი (ლათინურად)“ მიუთითეთ მონაცემთა ბაზის დასახელება .

ველში „ორგანიზაციის ტიპი „ მიუთითეთ ორგანიზაციის ტიპი.დააწკაპეთ მათი
▼ დილაკზე ჩამოიშლება ორგანიზაციების ტიპების ჩამონათვალი:

| | |
|-------------------------|----------------|
| ორგანიზაციის ტიპი | სამეწარმეო |
| საწყისი მონაცემების ენა | სამეწარმეო |
| | საჯარო |
| | მიკროსაფინანსო |

ველში „საწყისი მონაცემების ენა“ მიუთითეთ ენა რომელშიც უნდა ხედავდეთ მონაცემებს. დააწკაპეთ მათი ▼ დილაკზე ჩამოიშლება ენის ჩამონათვალი :

| | |
|-------------------------|-----------|
| საწყისი მონაცემების ენა | ქართული |
| | ქართული |
| | ინგლისური |
| | რუსული |


აირჩიეთ სასურველი მონაცემების ენა.


თუ გაქვთ მულტი სავალუტო გასაღები მონაცემთა ბაზის შექმნის ეკრანზე გაჩნდება სააღრიცხვო ვალუტის ასარჩევი ველი :

The screenshot shows a dialog box for connecting to a database. The title bar reads "დავუკავშირდეთ ქსელში არსებულ მონაცემთა ბაზას". The fields are as follows:


- SQL სერვერი: DELL-PC\ORIS
- მონაცემთა ბაზის სახელი (ლათინურად):
- ორგანიზაციის ტიპი: სამეწარმეო
- საწყისი მონაცემების ენა: ქართული
- სააღრიცხვო ვალუტა: GEL
- Windows ავტორიზაცია:
- მომხმარებელი: sa
- პაროლი: [masked]
- კავშირის შემოწმება: [button]


Buttons at the bottom: მთავარი, სხვადასხვა, OK, Close.


ველში „სააღრიცხვო ვალუტა“ მიუთითეთ ვალუტა. დააწკაპეთ მაუსი  დილაკზე ჩამოიშლება ვალუტების სია :



აირჩიეთ სასურველი ვალუტა.
ორის ბუღალტერიაში შესაძლებელია გქონდეთ ორი ბაზური ვალუტა.
თუ გაქვთ გასაღები ორმაგი სააღრიცხვო ვალუტით მონაცემთა ბაზის შექმნის ეკრანზე გაჩნდება მეორე სააღრიცხვო ვალუტის ასარჩევი ველი :



ველის „მეორე“ გასწვრივ დააწკაპეთ მაუსი  დილაკზე ჩამოიშლება :



აირჩიეთ სასურველი მეორე სააღრიცხვო ვალუტა.

თუ SQL სერვერი არის სხვა კომპიუტერზე მაშინ გადანიშნეთ ველი „Windows ავტორიზაცია“, გააქტიურდება ველები: „მომხმარებელი“ და „პაროლი“. ველში „მომხმარებელი“ მითითებულია SQL სერვერის მომხმარებელი. ველში „პაროლი“ მიუთითეთ SQL სერვერის პაროლი (სტანდარტული პაროლი რაც მოყვება სისტემას oris@1992@oris).
მონაცემთა ბაზის შესაქმნელად დააჭირეთ ღილაკს „OK“
იხილავთ ეკრანს:

თუ გსურთ შეავსეთ ველები შესაბამისი ინფორმაციით. შეგიძლიათ ეს ეკრანი ღილაკზე „შევიწახოთ“ შეინახოთ ველების შევსების გარეშე. ამ შემთხვევაში მონაცემთა ბაზაში შეხვალთ პაროლის გარეშე.